

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

2011 წლის 10 მაისი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: მამა ხაგიაშვილი(თავმჯდომარე), ქეთევან ბექაური, მამა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, იოსებ ბარათაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება;
2. ასოციაციის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტისთვის სამივლინებო თანხის დამტკიცება;
3. ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევიანება;
4. ადვოკატთა ინდივიდუალური განცხდებების შესახებ მსჯელობა;
5. სხვადასხვა

გ ა დ ა წ ყ დ ა :

1. დამტკიცდეს ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით;

2. დამტკიცდეს სამიველინებო თანხა (1500 ათასხუთასი) ასოციაციის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტისთვის; შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტში.
3. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე.
4. დაკმაყოფილდეს შემდეგი ადვოკატების განცხადებები:
 - ელენე ტყეშელიაძის და ამირან ცალანის განცხადებები წევრობის აღდგენის თაობაზე;
 - თეა კობიაშვილი 2008 წლისთვის არსებული დავალიანების დაფარვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გაწვევრიანებული იქნას ასოციაციაში.
 - გონა სხირტლაძე საწევრო დავალიანების გადახდის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე გაწვევრიანებულ იქნას ასოციაციაში.
 - ნინო ჩიმაკაძე გაწვევრიანდეს ასოციაციაში 150 ლარის – გაწვევრიანების წლის საწევროს გადახდის გარეშე და გაწვევრიანებისთანავე შეუჩერდეს წევრობა.
 - სოფიო მუჯირს გაეგზავნოს წერილი.

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე